

აშშ-ს თანადგომის დემონსტრირება - დონალდ რამსფელდი თბილისში

ამერიკული ექსპერიმენტი საქართველოში

პირველი გვერდი

“ნატო დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსია ველით, რომ საქართველოში კვლავაც გაგრძელდება პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო რეფორმები, რომელიც საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებს. ჩვენ თანადგომას გვირგვინით თქვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერას კი ახლა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ლინ პასკოს ხელმძღვანელობით დელეგაციის ვიზიტიც ადასტურებს,” - აღნიშნა რამსფელდმა.

დემოკრატიული ქვეყნის იმიჯის დასამკვიდრებლად კი, სტუმრის შეფასებით, ჩვენითვის ერთ-ერთი საშუალება ახლა სამართლიანი არჩევნების ჩატარება იქნება. ამის დაპირება რამსფელდმა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან გუშინ ნამდვილად მიიღო.

აშშ-ს თავდაცვის მდივანი, რომელიც “ნორთისა და ალტურვის” პროგრამის ერთ-ერთ ავტორადაც შეიძლება ჩაითვალოს, ქართული მხარით კმაყოფილია. “ნორთისა და ალტურვის” პროგრამაზე განხორციელებული ხარჯების თუ შრომის შედეგის შეფასების საშუალება მას გუშინ შუადღისას უშუალოდ სამხედრო პოლიგონზე მიეცა. მეგზურობას მას ქართველი კოლეგა დავით თევზაძე უწევდა. “ეს პროგრამა წარმოადგენს იყო და ჩვენ თანამშრომლობას ამ მხრივაც გავაგრძელებთ,” - რამსფელდის ეს განცხადება, თავის მხრივ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ ამერიკისთვის განხორციელებული დახმარების გახსენებას მოჰყვა. რამსფელდი, ოფიციალური ვაშინგტონის სახელით, მადლობას უხდის საქართველოს, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროს გამოვლენილი თანადგომის გამო, ტერიტორიის წინააღმდეგ ომში.

30 წლის ასაკიდან, 1962 - 1968 წლებში დონალდ რამსფელდი ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატაში. მეთხუთვალის დასრულებების შემდეგ, მან მუშაობა დაიწყო პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციაში. 1973 წლიდან იგი აშშ-ს ელჩია ნატო-ში. ერთი წლის შემდეგ რამსფელდს კვლავ ვაშინგტონში უხმეს. 1975-1977 წლებში იგი იყო ქვეყნის ისტორიაში პენტაგონის ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელი. პენტაგონის დატოვების შემდეგ იგი ბიზნესში ავტოკრატულ მოღვაწეობას. და აი, ჯორჯ ბუშმა უმცროსმა მას მანამდე უპრეცედენტო წინადადება მისცა - შეირდეს ჩადგომოდა სათავეში პენტაგონს. ამჯერად რამსფელდის სახელს უკავშირდება საომარი კამპანიების დაწყება.

იმის დაზუსტებას, თუ რამდენად დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთს საქართველოში შიდა დაძაბულობის პროვოცირებაში, გუშინ მალალ სტუმართან უცხოელი ჟურნალისტები ცდილობდნენ, თუმცა ასეთი კითხვებზე პასუხის გაცემის უფლება რამსფელდმა, დიპლომატიურად, ქაღალტონ პრეზიდენტს დაუთმო. ნირო ბურჯანაძემ ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობას ასე უპასუხა: “რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ბუნებრივია, რომ არა რუსეთის გარკვეული რეაქციული ძალები, ამ ეტაპზე საქართველოში არსებული კონფლიქტები უკეთ იქნებოდა მოგვარებული.” როგორ ესახება კავკასიაში თავისი სამხედრო ძალების გადართობა ამერიკას? იკვებება თუ არა საქართველოში რაიმე ცვლილებები ამ მხრივ? ამ კითხვებზე პასუხს გვერდი რამსფელდმა უკვე სხვაგვარად აუთრა: “იყო გეგმა ამგვარი რეკომენდაციების შემუშავებისა. თუმცა, რაიმე კონკრეტული წინადადებებიდან ახლა შორს ვართ, მაგრამ გარანტირებთ, ახლა აქცენტი უფრო სწრაფი რეაგირების, მოქნილ სამხედრო ძალებზე გაკეთდება.”

და ბოლოს: იმის სადემონსტრაციოდ, რომ აშშ-ს ადმინისტრაციას სჯერა საქართველოსი და მისი ხელისუფლების, რამსფელდმა პროგრამა შეცვალა და ლამის გასთავდა თბილისში დარჩა.



პირველი გვერდი

იარებას მოიპოვებს, ანუ ლეგიტიმური და ეფექტური იქნება. საქართველოსადმი აშშ-ს დამოკიდებულება სწორედ ამ ახალი სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია. სახელმწიფოს ეფექტურობის ამაღლება, პირველ ყოვლისა, ე.წ. უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებით იწყება. საქართველოს შენეებულ მდგომარეობაში აშშ-ს მიერ საქართველოს შენეებულ მდგომარეობაში დატოვების სხვადასხვა სექტორების მშენებლობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ნორთისა და ალტურვის პროგრამა. როგორც ჩანს, ამერიკელები უსაფრთხოების სექტორის სხვა სექტორების რეფორმირებასაც აქტიურად დაუდგებიან გვერდით. ამ პროცესს მხარს უმაგრებს საქართველოს დემოკრატიის აშკარა მხარდაჭერა, რაც ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოში ბოლო დროს განვითარებული პროცესების ცალსახა მხარდაჭერაში გამოიხატა. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი ივნისში, ლინ პასკოს ჩამოსვლა არჩევნების შემდეგ და მისი განხორციელების სტუმრობა უკვე ამერიკელ ექსპერტთა წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად, რომელსაც სამართლიანად ეწოდება “ამერიკული დესანტი”, მიუთითებს, რომ ვაშინგტონი 2 ნოემბრის არჩევნების რეალურ წყაღველად განიხილავდა და ახლა ახალი ეპოქის დასაწყისად “ვარდების რევოლუციას” აღიქვამს. როგორც ჩანს, ამერიკელები საქართველოში თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის ექსპერიმენტს დიდი ინტერესით ეკიდებიან. ამისთვის ისინი საგარეო ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის შესუსტებასაც ცდილობენ. ამაზე უკვე ამჟამად მიუთითებს სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის მექსიკოში ფრაზები რუსეთის მიმართ, რომ მოსკოვმა გაიყვანოს საკუთარი სამხედრო ბაზები საქართველოში და ხელი არ შეუწყოს აქ არსებულ სეპარატისტულ რეჟიმებს. ბაზებთან მიმართებაში იგივე პოზიცია დააფიქსირა ნატო-ს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭოშიც. ამით ვაშინგტონმა მოსკოვს მოუწოდო, რომ ხელი არ შეუშალოს საქართველოში დანერგულ მისიულ ექსპერიმენტს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოდელი, რომელიც ახლა საქართველოში იქმნება, წარმატების შემთხვევაში, სამომავლოდ მოსტსაბჭოური სივრცისათვის ან მთლიანად ევრაზიისათვის იქნება აპრობირებული. თუმცა, არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ აშშ საქართველოს საკუთარი საკუთარი პოლიტიკების სიაში ნომერ პირველ ადგილს უთმობს ან, თუნდაც, იგივე რუსეთთან ურთიერთობებში ნინ აყენებს. რეგულაციის დროს, როგორც ვეგსისთვის, აშშ-ს ადმინისტრაციას ნეიტრალური პოზიცია ეკავა. ეს დიპლომატიურ ენაზე დაკვირვებასა და ლოდინს ნიშნავს. სავარაუდოდ, აშშ-ს პოზიცია საქართველოს მიმართ მომავალშიც მომლოდინე იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებას ეძლევა შანსი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ ექსპერიმენტში და მისი წარმატება უზრუნველყოს. საქართველოს ხელისუფლების ნებაზე დამოკიდებული, თუ რამდენად დიდი იქნება ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. ფაქტობრივად, აშშ-ს სტრატეგიული და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, რადგან ეფექტური და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, პირველ ყოვლისა, სწორედ საქართველოს ინტერესებშია.



ქართვან იხანაშვილს ნარმოვიდებთ

სიბოლო



ცნობილია, რომ იდეოლოგია, პოლიტიკური წყობა, რეჟიმი ყველაზე უკეთ არქიტექტურაში, მშენებლობაში აისახება. ასე იყო რომის იმპერიაში, ფაშისტურ გერმანიაში, კომუნისტურ ჩინეთში თუ საბჭოთა კავშირში.

ისტორიულად, ყველა გადატრიალებას, სისხლიანს თუ უსისხლოს, აუცილებლად სიმბოლიკის განადგურება მოჰყვება. სულ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიო უყურებდა, როგორ ადგებდა ერთ-

ყელი ხალხი სადამ ჰუსეინის ქანდაკებას. რევოლუციებს თან ახლავს დამარცხებული ქანდაკებების ჩამოგდება, ნაგებობების განადგურება, პორტრეტებისა და იდეოლოგიური ლიტურატურის დაწვა. სამუხაროდ, უმეტესად, ამგვარი ქმედებები ვანდალიზმის ტოლფასია და ნადგურდება ხელოვნების ღირსშესანიშნავი ნიმუშები, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამა თუ იმ რეჟიმს ასახავდნენ.

ამ თვალსაზრისით ჩვენ, ქარ-

თველები, მომგებიან მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვინაიდან ბოლო ათი წლის განმავლობაში არაფერი ჭეშმარიტად ღირებულს არ დაუმშენებია ჩვენი ქალაქი. არაფერს, რასთანაც შეეძლო დასანანი შეიძლება გახდეს.

მაგრამ, საქართველოში მოხდა უნიკალური, არა სისხლიანი, არამედ ვარდების რევოლუცია და ახლა მასიურ წერვას ნამდვილად არ უნდა მივყოთ ხელი. რესპუბლიკის მოედანზე ნამოჭიმული ვი-

ლაცის ბეტონის ყურების ნაჭრის დრო არ არის. უამრავი სხვა პრობლემა არსებობს ქვეყანაში, მაგრამ მე მაინც მომხრე ვარ, ერთ-ორი სიმბოლო შეენიროს მომხარ რევოლუციას. ისეთი სიმბოლოები, რომლებიც, ჩემი აზრით, ამხინჯებს ქალაქს, ზუსტად ასახავს დროს, სრულიად უფუნქციო და ადვილად დასაშლელია.

მეტრო "რუსთაველთან" ძველი აგურის კედელზე მიშენებული ენ. "შუშის სახლი" და ჭავჭავაძის

გამზირზე, პუშკინის ინსტიტუტის გვერდზე აღმართული "შუშის მონსტრი" აი, უკვე ნელი-ზიზღებენ სწორედ ბოლო ათწლეულში დაშენებული უკაცონო მშენებლობის, უგემოვნობის, უფუნქციობის და, როგორც წესი, გავლენიანი, ჩრდილოვანი მეპატრონის სიმბოლოა.

იბადება შეეითხვა, რაღა ეს ორი ნაგებობა? რატომაც არა? ფრადილა, ნაჩქარევი, უშნო, უადგილო, ამკარად ქრთამით დამ-

ტკიცებული, თანაც, სრულიად არასაჭირო. ჭავჭავაძის გამზირზე "შუშის მონსტრი" აი, უკვე ნელი-ზიზღებენ სწორედ ბოლო ათწლეულში დაშენებული უკაცონო მშენებლობის, უგემოვნობის, უფუნქციობის და, როგორც წესი, გავლენიანი, ჩრდილოვანი მეპატრონის სიმბოლოა.

იბადება შეეითხვა, რაღა ეს ორი ნაგებობა? რატომაც არა? ფრადილა, ნაჩქარევი, უშნო, უადგილო, ამკარად ქრთამით დამ-

თუ ბატონი ზურაბ ჟვანია და ბატონი გივი წერეთელი სიმბოლოურად მონაწილეობდნენ კანცელარიის წინამდებარე რკინის ლიხის, როგორც მთავრობასა და ხალხს შორის აღმართული კედლის სიმბოლოს დემონტაჟში, მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ, ასევე სიმბოლოურად, რომელიმე ხელისუფალმა მოიქნოს ხელი ამ ორი შუშის სიმბოლოს დასანგრევად, ანუ უკანონობის, უკულტურობის, მექრთამეობის დასანგრევად?

რჩევები თაკო ჩარკვიანს

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ემოცია ვერ დავძლიე და მაინც გადავწყვიტე, მესაუბრა საშუალებით, გაზეთის ფურცლებიდან მიმეპარა ქალბატონ თაკო ჩარკვიანისათვის, რომელიც ამ დღეებში "რუსთაველი-2"-ის სტუდიაში ვიზილე. ჩარკვიანის ოჯახის დიდი პატივისცემის მიუხედავად, მაინც ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, ორიოდე რჩევა მოგცეთ და იმედოვნებ, სწორად გამიგებთ და არ გამინანწყნდებით.

ხალხთან, ან ხალხის სახელით ლაპარაკი ძალიან ძნელი და საპასუხისმგებლოა. ან ზუსტად უნდა იცოდეთ, რისი თქმა გინდა, ან გულწრფელი უნდა იყო, რაც, სხვათა შორის, დილემანტი პოლიტიკოსისათვის განსაკუთრებულად მომგებიანია.

გამაკვირვებ თქვენი საუბრის ტონა. ხანგრძლივი, ხანგასმული პაუზები, გადასაწყობი თვლების დახუჭვა, ატრიალება, ჩაცინება, თითოეული სიტყვის მიმხედ, უდიდესი მნიშვნელობით წარმოთქმა, ცოტა დაზარებით, ზემოდან ლაპარაკი... ეს ან დაქანცული, ან ცინიკოსი, ან დაბნეულ-შემინებულ, ან უჭკუო ადამიანის ინტონაცია

და მიმიკაა. თუ დალილი ბრძანდებით, დაისვენეთ; თუ ცინიკოსი, ეს თქვენი პრობლემაა; თუ დაბნეული ან შემინებული, ნამდვილად არ არის გვიან განზე გადაგება; თუ ეს ლაპარაკის მანერა სარკესთან დაიყენეთ, მერნმუნეთ, გადააჭარბეთ; თუ ახლობლებმა მოგიწონეს ან გიორჩეს, მენდეთ, ისინი თქვენს მიმართ, ეტყობა, ზედმეტად სუბიექტურები არიან.

თუ, უბრალოდ, კოკეტა ბრძანდებით, რაც, თავისთავად, ქალისთვის სრულიად მისაღებია, მაშინ, არ ჯობია, უფრო იოლი, ნაკლებად საექსპლუატაციო თემატიკა შეარჩიოთ და ილიას, აკაკის და ყაზბეგის ამდენი ხსენებისგან თავი შეიკავოთ?

თუ, მგოსნის ქალიშვილი ბრძანდებით, არ ჯობია, დეკლამირებას მიჰყოთ ხელი? მაშინ თქვენი მიმიკა, თვალის ხუჭვა, მეტნაკლებად ლოკური იქნება.

და ბოლოს, როგორც ქალმა ქალს, მინდა გირჩიოთ, თბილისის ბევრ მალაზიაში შესანიშნავი ხარისხის ფრანგული კონსტრუქციის იყიდება. ლენინგრადის ტუმს დღეს ალარავინ ხმარობს.

"კაფე როსინი"

თეატრალური სარდაფის ბოლო კაფე-კომპლექსი, ამკარა ფინანსური პრობლემები, მოუხერხებელი სკამები, ცარიელი ბუფეტი, უპაირობა, მოდური ავტორი-პატრიკ ზოსკინი, პერსპექტიული რეჟისორი - ლევან (ჭოლა) ნუღაძე, ახალგაზრდა მსახიობები.

"კაფე როსინი" - სპექტაკლი ორ მოქმედებად.

გაოფლოლი მსახიობები, ხმა-მაღალი ლაპარაკი, ყვირილი, უცნაური სიტყვები, წინ და

უკან სცენის გარშემო გაუთავებელი სიარული, ისე რომ, თავბრუს კი დამეხვა. სასაამოვნო, უპრეტენზიო კოსტიუმები, გასართობი ზენზებიანი ლოგინი ქართული ეროტიკისთვის, ცუდი განათება, კარგი ამერიკული მუსიკა, ნორმალური ქორეოგრაფია და საშინლად დანაგვიანებული სცენა - ქალაღდები, წვრილად დახეული ფურცლები, ვარდის ფოთლები, ხელსახოცები, სუფრები, ჩაქრალი სიგარეტები, გადმოყი-

რავებული საფერფლები, ტანსაცმლის დეტალები, ბოთლები, ჭიქები. ამ ყველაფერს, რატომ-ღაც, სირბილ-სირბილში სცენაზე ადგებდნენ, მე კი დალაგება მინდოდა. ერთ კარგ ცოცხს ვნატობოდი. ვერ ვიტან, როდესაც იატაკზე რაღაცა გდია. მინდა, ავიღო, თუმცა, ეს უკვე ჩემი წერნა - ქალაღდები, წვრილად დახეული ფურცლები, ვარდის ფოთლები, ხელსახოცები, სუფრები, ჩაქრალი სიგარეტები, გადმოყი-



სახლი



მხატვარ ნიკუშა შენგელაიათან ბავშვობიდან ვმეგობრობ და კარგად მახსოვს, რომ სწორედ მას ჰქონდა პირველად ცალკე თავისი დიდი ოთახი, რომელიც ბავშვობაში ყველაზე ლამაზ ოთახად მეჩვენებოდა, ბევრი რეპროდუქციით, მუსიკოსების პლაკატებით, ხალიჩებით...

გავიდა წლები. დღეს ნიკუშა თავის ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობს, ახალაშენებულ სახლში, ფიქრის გორაზე. აქვს ჩვეულებრივი, კარგი ბინა და ძალიან ლამაზი ინტერიერი, რომელშიც მისთვის მთავარია სივრცე - ბევრი სტუმრის მისაღებად; "კონსტრუქციული სივრცე" - როგორც თვითონ ამისხნა, ბევრი ჩამოსაჯდომით და ოთახის სხვადასხვა დონით, ერთფეროვნება რომ არ იყოს.

ნიკუშა შენგელაია გაიზარდა სახლში, სადაც კედლებზე ფიროსმანის ნახატები ეკიდა. იყო ბევრი ძველებური ავეჯი და ეს ყველაფერი მის წინაპრებს ეკუთვნოდა. თვითონ კი სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონია ინტერიერისადმი. მიაჩნია, რომ ინტერიერისთვის მთავარია, არავის ალიზიანებდეს, იყოს ფუნქციური და მოსახერხებელი. არ უყვარს, როდესაც სახლი გამოქვდილია არასაჭირო ნივთებით, გაუგებარი მოწყობილობებით ავეჯით, ძაღვებით და სრულებით არ იგრძნობა ადამიანის ინდივიდუალური აურა.

"მე მორიელი ვარ და არ მიყვარს ბევრი სინათლე", - ოთახში, მართლაც, ჩამოფარებულია სქელი, მუქი ფარდები და ნახევრად ბნელა, რაც სიმულდროვეს ქმნის - ასე საჭიროს ნებისმიერი ადამიანისათვის და განსაკუთრებით ხელოვანისათვის.

ნიკუშა შენგელაია რომ ხელოვანი ნატურაა, ამაში კი არავინ შეგეკამათება.



კინოდან მედიკინაში



ფრანკ დეპარდიე კვლავ კვლავ მუშაობს ფრანგმა მსახიობმა კრისტოფერ ლამბერტმა გადამწყვეტ მღვივანეობა. მას შემდეგ, რაც მსახიობმა სატელევიზიო გათქვა სახელი ფილმში - "მთელი" შესრულებული როლით, ლამბერტმა გადაწყვიტა წარმატებულ ამ სფეროში მიაღწია.

მისი ლეინო საფრანგეთის საზღვრებს გარეთაც, მათ შორის, შვედეთში მუშაობდა გაიყვანა. ლეინო ინარჩუნებდა ცნობილ ბორდოს ვენახებში და მისი სამარკო სახელწოდებაა "მატო ლა ტურ-სერანი". ამის მიუხედავად, ფრანგი მსახიობი არ აპირებს

მთელი თავისი ენერჯია მედიკინაში დაახარჯოს. ლამბერტი ამჟამად ასრულებს მუშაობას ახალ ფილმზე "შენი აზრით". ფილმში ლამბერტი ნასტასია კინსკისთან ერთად მონაწილეობს. ფილმი მსოფლიო კინოფესტივალზე იანვარში გამოვა.

ბერგმანმა ფილმი გადაიღო



შვედეთში ინგმარ ბერგმანის ახალი ტელეფილმი აჩვენებს ფილმის სახელწოდებაა "სარაბანდა" და ისევე როგორც, ბერგმანის სხვა 60 შვედური, თამამად შეიძლება ისიც მსოფლიო კინემატოგრაფის კლასიკად მივიჩნიოთ. "სარაბანდა" - ოჯახური დრამა, სოუჟეტი, რომელიც ასე ხიბლავს ბერგმანს. ნამუშევარი ფილმის "ცოლ-ქმრული ცხოვრებას" ერთგვარი გაგრძელებაა. გადაღებისთვის რეჟისორმა საკუთარი ქოხიც კი მიატოვა ფარერის კუნძულებზე, რომელიც სტოკჰოლმიდან 160 კილომეტრის მოშორებითაა. ფილმში მონაწილეობენ შვედი რეჟისორის საყვარელი მსახიობები: ლევ ულმანი და ერლანდ იოზეფსონი (ეს

მსახიობები ბერგმანმა წინა ნამუშევარშიც გადაიღო). როგორც ცნობილია, რეჟისორმა 1983 წელს, ტრიუმფალური ფილმის "ფანი და ალექსანდრეს" დასრულების შემდეგ დატოვა დიდი კინო და ტელევიზიასა და თეატრს შეაფარა თავი. სწორედ ამიტომაც, ბერგმანის ახალმა ნამუშევარმა მილიონობით ადამიანი მიაჯაჭვა ტელეეკრანებს, რაც შვედეთისთვის წარმოუდგენელი ფაქტია. "სარაბანდას" თარგმანზე უკვე დაწყებულია მუშაობა. თავდაპირველად ფილმი გერმანულ, იტალიურ, ნორვეგიულ და დანიურ ენებზე ითარგმნება. ამის შემდეგ კი "სარაბანდას" სხვა ენებშიც აჩვენებენ.

კომპრომანის დასასრული



პარი პოტერის ეპოპეა მეშვიდე წიგნი დასრულდება. ამის შესახებ ბესტსელერის ავტორმა ჯოან როულინგმა ერთ-ერთი ფრანგული ტელეარხისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა. ინტერვიუ მწერალს საფრანგეთში მესამე წიგნის ტრიუმფალურ გამოცემასთან დაკავშირებით ჩამოართვის. საუბრის დროს მოულოდნე-

ლად, როულინგმა გადამღებ ჯგუფს ხელნაწერები აჩვენა და უთხრა, რომ ისინი ეპოპეის ფინალური გვერდებია. "მე განვიტოვებ ეს გარკვეული ხნით ადრე; მე მჭირდება დაგონებული იყავი, რომ შემიძლია ამის დაამთავრა", - თქვა მწერალმა და დაამატა, რომ ხელნაწერს იგი არასახლში, არამედ ხელნაწერებულ ადგილას ინახავს. ამასთან ერთად, რო-

ულინგმა აცნობა საზოგადოებას, რომ მეექვსე წიგნი და მეშვიდე დასაწყისი ვერ არ დაუსრულებია. ასე რომ, მკითხველს ისა და დარჩენილი ელოდოს, რათა გაიგოს წიგნის უკანასკნელი საიდუმლო. ამასთან დაკავშირებით, თავად ავტორი მხოლოდ მიახლოებით, რომ მკითხველს უამრავი თავგადასავალი და მკვლევარების სერია ელოდება.

ბასტროლები აგზ-ში

ერაყის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, მაჰამედ ამინ იზატის დირიჟორობით, შვედეთის შტატებში პირველად გაემგზავრება გასტროლებზე. ერაყის შექმნილი კოლექტივის კონცერტი დაგეგმილია 9 დეკემბერს ვაშინგტონის კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრში. ცენტრის ძირითად სცენაზე ერაყელ მუსი-

კოსებთან ერთად შვედეთის შტატების ნაციონალური სიმფონიური ორკესტრიც დაუკრავს. ამასთან ერთად ორივე ორკესტრის სოლისტი იქნება ცნობილი ამერიკელი ვიოლონცელისტი იოიო მა. კონცერტს, საპატიო სტუმრის სტატუსით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი დაესწრება.

ინტერპლუსი
გაგზავნი

მოგილარი 700	822 009 108
რამონი 700	822 009 008
თბილისი 500	822 009 088
18 წლიდან	822 009 088

სხვადასხვა

დახის კარიერის
პირდაპირი მართვა

თქვენ შეგიძლიათ სხვადასხვა დახის კარიერის მსაჯულთა და მსაჯულთა მსახიობთა დახის კარიერის მართვა.

დახის კარიერის მართვის ნომერი: **332609**

გაიხარებთ მსახიობთა დახის კარიერის მართვით დახის კარიერის მართვით.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიხი“
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისების მეთოდი.
- საქმის დოკუმენტაციის წარმოება - MS Word.
- დოკუმენტაციის დამუშავების პროგრამები - MS Excel
- დოკუმენტაციის დამუშავების პროგრამები - MS Access
- ინტერნეტის სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ. ურბნისი № 72
ტელ: 20-48-61

საქართველო
საქართველო

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

ყოველ შაბათს, მარტოაქტი 2-ის პირდაპირ ვიდეოში გაიმართება ტელეკონკურსი "საქართველო ტოტოს" გათამაშება.

დაწვრილობითი ინფორმაცია და კომუნიკაციების სფეროში ჩართული ხარისხი "24 საათი"

ნამალი "სალხინო"
ქართული ფლორის სამოტივო

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტაიტს, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადავნი ხერხეული ზაგეთა მიწებება, სუნი ან გამოინადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გარსის, თირკმელის არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, შარდის დროს სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხება.

"სალხინო" ანესტიზირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიკის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოლოგიის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ შობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ზაგეთის კვებას საკუთარი რძით.

ნამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მონონებულა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ფერადი
საბავშვი

ბავატი

Disneyland Paris

ერთი გახარებული ბავშვთა სახლის დისნეი ლანდში

სარეკლამო